



# ახალი განათლება

01-07.02.2018

№3 (797) გამომდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



თსუ - 100

გვერდი 5

## ნიკო ცხველაძის ნაღვანი. მომავალი უნივერსიტეტის შენობის აგება

**კროფესიული უნარების  
გამოცდისთვის მოსამზადებლად**

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLİ SUALLAR

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

Կարևոր հարցեր պատասխաններով

გვერდი 6



ეროვნული სასწავლო გეგმა

გვერდი 2

**ახალი სასწავლო გეგმა –  
მეზობარი დოკუმენტი  
მომხმარებლებისთვის**

გვერდი 9

გამოცდილება

**ლეჩსიკური ყულაბის  
გასამდიდრებლად**







ეროვნული სასწავლო გეგმა

თემა მრავალი შეხვედრა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან, პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში. როდესაც ეს საჯარო განხილვები დასრულდება, თავს მოუყვრით ყველა არგუმენტირებულ, სწორ მოსაზრებას და აუცილებლად ავსახავთ საბოლოო ვარიანტში. ამას კი დრო სჭირდება.

– თუ არის დაინტერესება პედაგოგთა მხრიდან? – ძალიან დიდი დაინტერესება ჩანს.

– პირადად თქვენ რა მიგაჩნიათ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ყველაზე მნიშვნელოვან სიახლედ?

– მთავარი სიახლე, ჩემი აზრით, არის ის, რომ, თუ შევადარებთ დღეს მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმას, იქ მოცემული იყო მხოლოდ მოთხოვნები, რას უნდა მიაღწიოს მასწავლებელმა და ჩამოწერილი იყო ინდიკატორები, რა შემთხვევაში ჩაითვლებოდა, რომ მან მიაღწია ამ შედეგს, მაგრამ არ იყო მიცემული რეკომენდაციები, როგორ მიაღწიოს მიზნებს მასწავლებელმა. ეს გარკვეულ ნაკლებობას გრძნობას ტოვებდა მასწავლებლებში და, რამდენადაც ვიცით, არსებული სასწავლო გეგმა არც ისე კითხვადი დოკუმენტი იყო. მასწავლებლები უფრო მეტად სახელმძღვანელოებზე აკეთებდნენ აქცენტს და სასკოლო სახელმძღვანელოების მიხედვით ახორციელებდნენ სასწავლო პროცესს, რის გამოც შეიძლება სწავლების მიზნებში აცდნენ ყოფილიყო.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა სწორედ იმით გამოირჩევა, რომ უხვად აძლევს მასწავლებელს სარეკომენდაციო მითითებებს, როგორ მიაღწიოს სტანდარტში მოცემულ გრძელვადიან შედეგებს. ალბათ ეს არის მთავარი ღირსება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის – ის არის მეგობარი დოკუმენტი მისი მომხმარებლისთვის, მასწავლებლისთვის, რომლის დახმარებითაც წარმატებით მიაღწევენ უმთავრეს მიზანს. ბუნებრივია, მოსწავლეთა მიღწევების ამაღლებას და მათ ცხოვრებისთვის მომზადებას ვგულისხმობ.

– მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით ხშირად გაისმის, რომ ძალიან გადატვირთულია, დაუძლეველიც კი მოსწავლეებისთვის და მასწავლებლისთვისაც ძნელად მისაღწევი. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, ამ მხრივ, უფრო განტვირთულია, მაგრამ როგორც კი იწყება განტვირთვა-გამართლებება, პროგრამის შემცირება, იწყება უკმაყოფილება, რატომ ამოგვაქვს პროგრამიდან ესა თუ ის თემა ან ნა-

წარმოები. ამასთან დაკავშირებით თუ იყო რაიმე შენიშვნები?

– ეს მართლაც დიდიმანა განათლების სფეროში. ძალიან ხშირად გვსმენია, რომ მოქმედი სასწავლო გეგმა გადატვირთულია და შეიძლება ეს ასეც მივიჩნიოთ, თუმცა, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ პროგრამის გადატვირთულობა, სასწავლო საკითხების ჩამონათვალი, რაც იქ არის მოცემული, არ გულისხმობდა უკლებლივ ყველას დასწავლას. მთავარი ამოცანა, რაც მასწავლებლის წინაშე იდგა, იყო სასწავლო შედეგების მიღწევა. თუკი ამ შედეგების მიღწევა განტვირთული პროგრამით მოხერხდება, მიზანი მიღწეულად ჩაითვლება. თუმცა, ის დოკუმენტი არ იყო მაინცდამაინც პოპულარული საზოგადოებაში და მასწავლებლები, ძირითადად, სახელმძღვანელოებს მისდევდნენ. აი, სახელმძღვანელოები კი ნამდვილად გადატვირთულია. თუმცა, ამასთან დაკავშირებითაც შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელს არავინ ავალდებულებდა სახელმძღვანელოების თავიდან ბოლომდე გაგვლას.

ახალ სასწავლო გეგმაში აქცენტი გაკეთებული გვაქვს თემების სიმცირეზე. თემა ძალიან მსხვილი ერთეულია და ძალიან მცირე რაოდენობით გვაქვს. თითქმის ყველა საგნის სასწავლო გეგმაში, წლის განმავლობაში, დაახლოებით, ხუთამდე თემა შეთავაზებული. მე „მოქალაქეობაზე“ გეტყვი, აქ სამიდან ხუთ თემამდეა, ყოველნიურად, რაც არ არის ბევრი, გადატვირთულობაზე ვერავინ ისაუბრებს. უდავოდ საინტერესოა, რა საკითხებად უნდა დაიშალოს ეს თემა, აქ შეიძლება საკითხების უზღვევი რაოდენობა მივიღოთ, მაგრამ სასწავლო გეგმაში არ არის მოცემული ეს უზღვევი რაოდენობა, შეთავაზებულია მხოლოდ მინიმალურად სავალდებულო საკითხები, მაგალითად, ჩვენ ვსაუბრობდით თემაზე „ჯანსაღი ცხოვრება“, იქ მინიმალური საკითხებია: ადრეული ქორწინება, ჰიგინა, ადიქცია და ჯანსაღი კვება. სულ ოთხი საკითხია, რომელთა დამუშავებით ვაღწევთ დასახულ მიზნებს.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტში მთავარია ის შედეგები, მიზნები, რასაც უნდა მივაღწიოთ და არა საკითხების ჩამონათვალი, რითიც უნდა მივაღწიოთ. ასე რომ, ბალანსი, ჩემი აზრით, ახალ სტანდარტში დაცულია და მისი გაცნობის შემდეგ, ვერ იტყვიან, რომ ეს საკითხები არასაკმარისია ან პირიქით, ძალიან ბევრია. საკითხები ცოტაა, მაგრამ სასწავლო საკმარისია, რომ მათი საფუძვლიანი შესწავლით დასახული მიზნები იქნეს მიღწეული.

კონკურსი უფროსკლასელთათვის

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და საქართველოს ტრადიციული რწმუნის ასოციაცი-ცია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროების, ბაზეთის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაცი-ების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს თემაზე:

„ტრადიციული სათამაშოები“

კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს დღემდე, უხუცესების მეხსიერებაში შემონახული სხვადასხვა კუთხის ხელნაკეთი სათამაშოების დამზადების ტექნოლოგია;
- გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- შექმნას განსხვავებული, შემოქმედებითი პლატფორმა სხვადასხვა ქვეყნების მოზარდების დამეგობრებისათვის;
- გაუღვივოს ახალგაზრდა თაობას ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი;
- დაეხმაროს ახალგაზრდებს სხვა კულტურების გაცნობაში და ჩამოუყალიბოს მათდამი პატივისცემის გრძნობა.

კონკურსი მოწყობა ორ ტურად:

პირველი ტური გულისხმობს სკოლაში, მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

მეორე ტური უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დაწერილ სათამაშოს დამზადების აღწერილობას;
2. მოსწავლეების მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით შესრულებულ (დახატული, გამოქერნილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათ, მაღალი ხარისხით გადაღებულ, ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოგზავნოს ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად jpg ფორმატში;
3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას (გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით);
4. ვორდის ფაილში დაწერილი ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს მონანილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება. სასურველია, ნიმუში ჩაინეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან. კონკურსის პირველი ტურის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოგზავნოს:
  - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com
  - ან, მოგვანოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული

მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5.

მეორე ტური გადსული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, გადმოგზავნიან დამატებით ინფორმაციას (ვორდი, ფოტო, ვიდეო ან აუდიო). გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. გამარჯვებული ავტორი (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“-ს წოდებას. ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“ და გაშუქდება მედით.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – დასახელება;
2. ნამუშევრის ავტორი მოსწავლის/მოსწავლეების – სახელი, გვარი;
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
4. სახელმწიფო, ქალაქი (რაიონი, სოფელი), სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი).
7. ნიმუშის აღწერა აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:
  - რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;
  - ნიმუშის სახელწოდება (ავრთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);
  - სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩანერგილი ეს ნიმუში და ვისგან ისწავლეთ მისი დამზადება?
  - რას უკავშირდებოდა აღნიშნული სათამაშოს გამოყენება, ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში თამაშობდნენ წარმოდგენილი ნიმუშით (აღწერეთ გარემოება და თამაშის პროცესი (თუ ეს შესაძლებელია);
  - აღწერეთ თავად ნიმუშის დამზადების პროცესი (მასალა და

– თუმცა, ეს პრეტენზიები, ალბათ უფრო ისეთ საგნებს ეხება, რომლებშიც შემდეგ გამოცდებითა და სასწავლო გეგმის პროგრამა საგამოცდო პროგრამაზეც აისახება, ამიტომ მასწავლებელიც იძულებულია მთლიანი პროგრამა გაიაროს.

– ჩვენ შემთხვევაში გამოცდების პრობლემა არ გვაქვს, რადგან VII-IX კლასები არ სრულდება საატესტატო გამოცდებით. გამოცდების პრობლემა, თუ შეიძლება, ასე ითქვას, არსებობს საშუალო საფეხურზე, X-XII კლასებში, როდესაც რვა გამოცდას აბარებენ და შეიძლება ითქვას, რომ დიდი პროგრამა აქეთ უფროსკლასელებს ჩასაბარებელი. ამ პროგრამებზე ვერ ვერ ვისაუბრებთ, რადგან ვერ მხოლოდ საბაზო საფეხურის სასწავლო გეგმაზე მუშაობა დასრულდა და დაინფო მსჯელობა იმაზე, როგორ მოვანყოთ საშუალო საფეხური.

– შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის გამოსაცდელი პერიოდი?

– გამოიცადა არა მთლიანად სასწავლო გეგმა და არა მთლიანად „მოქალაქეობის“ სამწლიანი კურსი, არამედ ამ კურსის მხოლოდ ერთი კომპონენტი, ერთი თემა.

– სხვა თემების გამოცდა გაგრძელდება?

– თუ იქნება ამის შესაძლებლობა, სურვილი და ფინანსური საშუალება, ბუნებრივია, უარს არავინ იტყვის სხვა კომპონენტების პილოტირებაზე. ვერჯერობით, ეს არ იგეგმება.

– თუ მიმდინარეობს სახელმძღვანელოებზე მუშაობა?

– სახელმძღვანელოებზე მუშაობა, რამდენადაც ვიცით, ვერ არ არის დაწყებული, რადგან არსებობს ნაბიჯების ასეთი თანმიმდევრობა: ვერ, მინისტრის ბრძანებით, უნდა დამტკიცდეს საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა და მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესის გამოცხადება.

– საგარეოდ, როდის შეიძლება დამტკიცდეს ახალი სასწავლო გეგმა?

– დამტკიცება იგეგმება თებერვალში, ამის მერე ალბათ კონკურსიც გამოცხადდება და ავტორები სახელმძღვანელოების წერას შეუდგებიან.

ესაუბრა ლალი თვალაპიშვილი

ტექნოლოგია);

- რა ატრიბუტები/იარაღები უკავშირდება/ახლავს თან მის დამზადებას/გამოყენებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);
- სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის დამზადების დროს;
- რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, რელიგიურ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის. სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო/აუდიო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა.

მოსწავლეთა განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ნამუშევრის აღწერილობითი ნაწილი – 10 ქულა;
- ნაკეთობის ტრადიციულობა – 10 ქულა;
- ნაკეთობის ესთეტიკური მხარე – 10 ქულა.

კონკურსის გამარჯვებულებისთვის გამოყოფილია შემდეგი ადგილები:

- ერთი პირველი ადგილი;
  - მეორე ადგილს გაიყოფს ორი მონაწილე;
  - მესამე ადგილს გაიყოფს სამი მონაწილე.
- შეფასება მოხდება ქულათა დაჯამების პრინციპით. ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმომავლის ვადაა 2018 წლის 20 მარტი

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში მარინა თავთაქიშვილი 599 08 40 03; aramaterialuri@yahoo.com

ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მნივნობართა ასოციაციის თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ნაირა გორაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვაალა ამ ორგანიზაციის წევრი, ქველმოქმედი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, სიკეთით სავსე ადამიანი

ლილია მანაგაძე

გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს, შალვა თეთვაძეს და შვილებს – ზურiko და თინiko თეთვაძეებს.



# უნივერსიტეტი – სკოლას

ანა ფირცხალაიშვილი

თსუ-ში საბავშვო უნივერსიტეტის არსებობა ნამდვილად დიდი საჩუქარია ჩვენი საზოგადოებისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ შესაძლოა, სწორედ ის იქცეს უმაღლესი განათლებისკენ ახალგაზრდების ასეთი გაუცნობიერებელი ლტოლვის შემაფერებელ ფაქტორად. ვგულისხმობ იმას, რომ სხვა ფუნქციებსა და მიმართულებებთან ერთად (რომელთა შესახებ სხვა დროს ვისაუბრებთ), იგი მონოდეზიანი ადრეულ, სკოლის ასაკში გააგებინოს მოზარდებს, რა არის საუნივერსიტეტო სამყარო, კვლევა, მეცნიერება და ა.შ; თორემ ხშირია შემთხვევები, როცა ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი ახალგაზრდა ხდება სტუდენტი, რომელმაც არც იცის რატომ აირჩია პროფესია, არც იმაზე აქვს ნაფიქრი, რა უნდა მომავალში და სტუდენტურ წლებს, სწავლის ნაცვლად, სწორედ ამ საქმეში გარკვევას ახმარს. შედეგად კი, კიდევ ერთ, არაკონკურენტუნარიან სპეციალისტს ვიღებთ.

იმ მიმართულებებს შორის, რასაც საბავშვო უნივერსიტეტი სკოლებისთვის ახორციელებს, ერთ-ერთი მოსწავლეთა კონფერენციაა, რომელიც სკოლებთან დადებული მემორანდუმების ფარგლებში იმართება (დღეისათვის 30-ზე მეტი ასეთი მემორანდუმი მოქმედებს): უნივერსიტეტი – სკოლას, სკოლა – უნივერსიტეტს. ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის სასარგებლო და აუცილებელია, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყოს უმაღლეს სასწავლებელში შემთხვევითი მოხვედრილობა რაოდენობა. ამაში კიდევ ერთხელ 128-ე სკოლის მოსწავლეებმაც დაგვარწმუნეს. 26 იანვარს, თსუ-ს III კორპუსის ერთ-ერთ აუდიტორიაში, შიდასკოლო შერჩევის შედეგად გამოვლენილი, სხვადასხვა კლასის 18 მოს-



წავლე, უნივერსიტეტის პროფესორების წინაშე საკონფერენციო თემებით წარდგა. კონფერენცია ორი მიმართულებით წარიმართა – საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: ლია კვერენჩილაძე – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი; ეფემია ხარაძე – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; იური პაპავა – ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი; ნინო ჩახუნაშვილი – პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი; ზაქარია ქიტიაშვილი – ფილოლოგი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი; გიორგი სახელაშვილი – თსუ-ს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.



ლობდა, რომელთაგან კომისიამ, ხუთის ნაცვლად, 8 საუკეთესო თემა გამოავლინა:

- ❖ ანზორ ორაგველიძე (VIII კლ.), თემა: „უშვილობა და მისი გამოწვევი მიზეზები“, ბიოლოგია (პედაგოგი – თეა ძაგნიძე);
- ❖ ანა ჩილაძე (X<sup>1</sup> კლ.), თემა: „სამოქალაქო თვითშეგნება“, ისტორია (პედაგოგი – თამარ გაგუა);
- ❖ ბარბარე გვენეტაძე (X<sup>1</sup> კლ.), თემა: „მიგრაცია“, ინგლისური ენა (პედაგოგი – ილონა აფაქიძე);
- ❖ ელენე ზალიშვილი (IX<sup>2</sup> კლ.), თემა: „პიროვნება-საზოგადოება და დანაშაული-სასჯელი“, ქართული ენა და ლიტერატურა (პედაგოგი – ინგა ვანიძე);
- ❖ ლაშა ტავალაშვილი (XII<sup>3</sup> კლ.), თემა: „უსინათლო ადამიანის დამხმარე რადიოლოკაციური ხელჯოხი“, ფიზიკა (პედაგოგი – ქეთევან სადრაძე);
- ❖ მარიამ გაჩეჩილაძე (X<sup>1</sup> კლ.), თემა: „უთანასწორობა“ ინგლისური ენა (პედაგოგი – ილონა აფაქიძე);
- ❖ გიორგი ჟორჯიანი, დავით ფვანია (XII<sup>2</sup> კლ.), თემა: „ჰიქსის ბოზონი“, ფიზიკა (პედაგოგი – ქეთევან სადრაძე).

გამარჯვებულ მოსწავლეებს, მათ პედაგოგებსა და კონფერენციაში მონაწილე მოსწავლეებს უნივერსიტეტმა შესაბამისი ხარისხის სიგელები და უნივერსიტეტის სიმბოლიკით დამზადებული სხვადასხვა სახის სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ვულოცავთ გამარჯვებულებს, და არა მარტო მათ, ყველა მონაწილეს, რადგან, როცა იცი, რომ მონაწილეობა კონფერენციაში, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ტარდება და გაფასებენ დარგის საუკეთესო სპეციალისტები, ეს შენი ძალიან გაბედული და მნიშვნელოვანი ნაბიჯია, იქნებ გადამწყვეტიც კი – ვინ იცის!



გარდა იმისა, რომ თითოეული მათგანი კარგად იცნობს უნივერსიტეტს, წლების განმავლობაში უნივერსიტეტის თანამშრომელია, მათი ამ პროექტში მონაწილეობა იმიტაც არის განპირობებული, რომ მჭიდრო კავშირი აქვთ სკოლასთან, ზოგი წლების განმავლობაში მასწავლებელი იყო, ზოგიერთი ახლაც მუშაობს სკოლაში. ვფიქრობთ, ნაშრომების ობიექტურად შეფასებისთვის ამ ფაქტორსაც აქვს სერიოზული მნიშვნელობა.

განათლების მეცნიერების დოქტორმა, თსუ-ს განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჭკუასელმა, რომელმაც გახსნა კონფერენცია, საზგასამით აღნიშნა 128-ე სკოლის დირექტორის, გულიკო ხორბალაძის განსაკუთრებული ინტერესი თავისი სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობაში აქტიური ჩართულობისათვის, მაგალითად შარშან, სკოლის ბაზაზე, უნივერსიტეტის პროფესორების მონაწილეობით ჩატარებული პედაგოგთა კონფერენცია დასახელა. ზოგადად ითქვამს, რომ სკოლების მხრიდან მეტი აქტიურობა სასურველია, რადგან ეს არის შანსი და საუკეთესო შესაძლებლობა, დავეხმაროთ ახალგაზრდებს საკუთარი შესაძლებლობების სწორად შეფასებაში, რასაც ბუნებრივად მოჰყვება სწორი პროფესიული არჩევანი, რაც მომავალში წარმატებისთვის აუცილებელი პირობაა.

კომისიის წევრები, ჩვენთან საუბარში, ერთხმად აღნიშნავენ 128-ე სკოლის მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების მიერ კონფერენციისადმი ასეთი სერიოზული დამოკიდებულებების შესახებ, რაც თემების შერჩევაში გამოიხატა და მონაწილეების ხარისხშიც – ისინი მოსწავლეთა პრეზენტაციის უნარიანობა კმაყოფილები დარჩნენ. თუმცა იყო შენიშვნებიც, რაც ასევე ბუნებრივია და არანაკლებ მნიშვნელოვანი როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მათი პედაგოგებისთვის.

როგორც ვთქვით, კონფერენციაში 18 მოსწავლე მონაწი-

## უსინათლო ადამიანის დამხმარე რადიოლოკაციური ხელჯოხი

ლაშა ტავალაშვილი  
სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის  
XII კლასის მოსწავლე

როგორც ცნობილია, ბევრ უხერხულობასთან და პრობლემასთანაა დაკავშირებული უსინათლო ადამიანის ქუჩაში გადაადგილება. ჩემი პროექტით შევეცადე, შემექმნა მათი დამხმარე ელექტრონული მოწყობილობა – რადიოლოკაციური ხელჯოხი, რომელიც მათ ამ პრობლემას მოუხსნის და, ამავე დროს გამოსაყენებლად მოხერხებული და კომფორტული იქნება.



რადიოლოკაციური ხელჯოხის მუშაობის ალგორითმი მდგომარეობს შემდეგში: როდესაც უსინათლო ადამიანი უახლოვდება დაბრკოლებას, რომელიც უკვე 1,5 მეტრი მანძილზეა მისგან დაშორებული ან ორმოს (ან მსგავს რაიმე

სიღრმეს, მაგ: კიბის საფეხურს), რომლის სიღრმე 10 სანტიმეტრია და მეტი, ის ხელჯოხში იგრძნობს ვიბრაციას, მანძილის და სიღრმის პროპორციული ერთეული იმპულსების სახით. იმპულსების როდენობა დამოკიდებული იქნება მანძილზე და სიღრმეზე, პირდაპირი დაბრკოლებისას იქნება მოკლე იმპულსები, ხოლო სიღრმის აღმოჩენის შემთხვევაში – გრძელი იმპულსები. ხელჯოხის ხმარების პროცესში უსინათლო ადამიანს, მცირე პერიოდში, გამოუშუშავდება აღნიშნული ალგორითმით დაბრკოლებამდე მანძილის შეფასების შეგრძნება. ცუდი ხილვადობისა ან ღამის პერიოდში გადაადგილების უსაფრთხოებისათვის, ხელჯოხზე იციმციმებს, სამი სხვადასხვა მიმართულებით, ნითელი შუქდიოდები, გარშემომყოფების და ავტოტრანსპორტის მძღოლების ყურადღების მისაქცევად.




სურათზე რადიოლოკაციური ხელჯოხის ნაჩვენებია. მასზე დამაგრებულია პირდაპირი ხედვისა და სიღრმის მაკონტროლებელი ულტრაბოვანი რადარები, ასევე სისტემის კვების აკუმულატორის უსადენო დამტენი მოწყობილობა. გადაადგილების უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, გამოყენებულია სამი ცალი ნითელი ფერის, მაღალი განათების ინტენსივობის მქონე შუქდიოდი, რომ-

ლებიც ციმციმებენ მონაცვლეობით. ულტრაბოვანი რადარები მუშაობენ კლასიკური პრინციპით: გადამცემი, რომლის გამომსხივებელს წარმოადგენს პიეზოელექტრული ელემენტი, იმართება მიკროპროცესორიდან, ასხივებს 40კ/მწ სიხშირის იმპულსების ჯგუფს, შემდეგ არის პაუზა არეკლილი სიგნალის მისაღებად.

დაბრკოლებიდან არეკლილ სიგნალს ლებულობს მიმღები, გაძლიერების შემდეგ სიგნალი მიეწოდება მიკროპროცესორს. მიკროპროცესორი ახდენს სიგნალის დაგვიანების დროის სიდიდის გაზომვას და გადაანგარიშებს მანძილში.

როგორც ცნობილია, ხმის სიჩქარე ჰაერში არის 331მ/წმ. მაგალითად, თუ არეკლილ სიგნალმა დააგვიანა 6 მლ/წმ, მაშინ მანძილი დაბრკოლებამდე იქნება  $331 - 0,006 / 2 = 0,993მ$ . შემდგომ მიკროპროცესორი გამოიმუშავებს ამ მანძილის პროპორციულ სიგნალს ვიბრატორის სამართავად, რომელიც იწვევს ხელჯოხის ვიბრაციას.





ჩვენი წარსული ცხოვრების მატად საგულსხამო პერიოდის – XIX საუკუნის 60-90-იანი წლების მოწა და თვითმხილველი, ჟურნალისტი და ლიტერატორი იაკობ მანსვეტაშვილი ავტორია 1985 წელს, „საბჭოთა საქართველოს“ მიერ, ქართული მემორიული ლიტერატურის ეპიოდით გამოცემული წიგნისა „მოგონებები“. იგი ნაქალაქ ცნობილია ფართო მკითხველისათვის, თუმცა ფასდაუდებელია მისი ღვაწლი იმ პერიოდის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სახელების უკვდავყოფისა და ქვეყნის წინაშე გაწეული მათი დამსახურების შთამომავლობისათვის გადაცემის საქმეში. გარდა იმისა, რომ იაკობ მანსვეტაშვილი ავტორიად თანამემორიუმად იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში და თვითმხილველად ყველა საზოგადო მოღვაწესთან, იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივანი; მისი თაოსნობით დაარსდა საზოგადოებრივი თანხის პირველი წიგნის მაღაზია, საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სიძველეთა მუზეუმს; მის სახელს უკავშირდება, აგრეთვე, თბილისში უნივერსიტეტის გახსნის ისტორიასთან დაკავშირებული ერთი ეპიოდის, რომელსაც მცირედი შემოქალაქით გთავაზობთ.

ვფიქრობთ, იაკობ მანსვეტაშვილის ეს მოგონებაც შემატებს ელფერს პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავის საინფორმაციო განწყობას.

# ნიკო სხვედაძის ნაღვანი. მოგავალი უნივერსიტეტის შენობის აგება

ჩვენი ხსოვნებიდან არ უნდა ამოიშალოს ორი ქართველის სახელი, რომელთაც დიდი ღვაწლი და სამსახური მიუძღვით ჩვენი ქვეყნის წინაშე, მათ სული ჰქონდათ წმინდა, გული წრფელი და დაუმრეტელი სიყვარული სამშობლო ერისა. ეს სიყვარული შთანერვლი ჰქონდათ მათ პატარაობიდანვე, გაჭირვება, ტანჯვა, სიღარიბე წიგნებიდან კი არ ჰქონდათ გაცნობილი, არამედ თვით ცხოვრებაში, თვით სინამდვილემ გამოატარა ესენი ამ ჭახრაკში. ეს ქართველები იყვნენ **იაკობ გოგებაშვილი** და **ნიკო ცხვედაძე**. ორთავეს სასულიერო აკადემია ჰქონდათ დამთავრებული. ამ გარემოებამ ისინი არ დააშორა თავის ხალხს, პირიქით, „გული წრფელი უფრო განიახლეს გვამსა თვისსა“ და შეუდგნენ საქვეყნო მოღვაწეობას. მათ თავის მოღვაწეობის საგნად დაიხსნეს ის, რაც ილიამ ასე საუცხოვოდ გამოსთქვა: „რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონე მარტო ცოდნა და განათლებაა, ღონე არ ექნება გაუნათლებელ კაცს თავის ჯაჭვის დასამტვრევად“.

აი, ამ აზრის განხორციელებას შეუდგნენ გოგებაშვილი და ცხვედაძე და სიცოცხლის დამლევაზე არ უღალატნიათ. პირველად ორთავენი მასწავლებლობდნენ სასულიერო სასწავლებელში. აქ დიდად ხელს უწყობდნენ სემინარიელების განვითარებას, მათ ნაციონალურ გრძობის გაღვივებას. სასულიერო მთავრობამ ორთავენი არასაიმედოდ სცნა და სამსახურიდან გააძევა. აქ მათი გზები გაიყარა. გოგებაშვილმა სრულებით სხვა გზა ამოირჩია, სამსახურს სამუდამოდ თავი მიანება და სავსებით საქვეყნო საქმეს შეუდგა სამოსწავლო ასპარეზზე. განიზრახა ქართული სახელმძღვანელოების და სახალხო წიგნების შედგენა და გავრცელება. არ იფიქროთ, რომ ეს პატარა საქმე იყო, პირიქით, გოგებაშვილის მხრივ ასეთი ნაბიჯი უფრო ღვაწლ-შემოსილებას, თავის განწირულებას ემსგავსებოდა. ნუ დაივიწყებთ, რომ საცხოვრებლად მას არაფერი გააჩნდა, სამსახურიდან გამოდევნის გამო ულუკმაპუროდ დარჩა, მაგრამ არ შეუშინდა სიმშვილს, არ შედგრა, მტკიცედ დაადგა ცხოვრების ეკლიან გზას და მედგრად გაემკლავა უმადურ წუთისოფელს, ოღონდ თავის დედა აზრისთვის არ ეღალატნა.

ნიკო ცხვედაძე სხვა გზას დაადგა. ამან სამსახურს თავი არ დაანება, მაგრამ საქვეყნო საქმისთვის არც ამას უღალატნია. ამას არ ჰქონდა ნიჭი მწერლობისა, არ იყო კალმის პატრონი, მაგრამ მხნეობა კი ჰქონდა უძლეველი, შეუდრეკელი. თუ რაიმე საქმეს შეუდგებოდა, გზიდან გადასვლა აღარ იცოდა, ჭირვეული იყო, ფანტატიკოსი საქმისა. არ იცოდა რა იყო დამცირება, არაკადნიერად მოქცევა, დაცინვა – ყველას აიტანდა, ყველაფერს მოისმენდა ოღონდ მიზნისათვის მიეღწია, განსაზღვრული საქმე საქმეზე მოეყვანა.

თუ დღეს ჩვენ გვაქვს ის საუცხოო, დიადი შენობა, რომელიც ვაკედგან ამჟამად ქალაქს დაჰყურებს და ამშვენებს, მტერს თვალს უყენებს და მოყვარეს გულს უხარებს, ის შენობა, სადაც დღეს ქართული უნივერსიტეტი იმყოფება, – უნდა დავუმალოთ ნიკო ცხვედაძეს, იმის მხნეობას, იმის ერთგულებას, იმის თავის განწირვას. საიდან და როგორ დაიბადა აზრი ამ შენობის აგებისა?

როდესაც მოვახერხებთ და ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლა საყოველთაო საშუალო სასწავლებლად გადავაკეთებ, საკუთარი თავმსაფარი არ გექონდა ამისთვის, კატის კნუტივით დავათრევდით ამ სასწავლებელს და ხან ერთ შენობაში გადავიტანდით, ხან მეორეში, მაგრამ ყველა ყოვლად უფარგისი იყო, გამოუსადეგარი, სწავლებისთვის სრულიად მოუწყობელი. უნდა გვეფიქრა საკუთარი შენობის შესაძენად. შესაფერისი ტფილისში არაფერი მოიპოვებოდა. ვაკეზე მიწის შეძენა მოვახერხებთ. ახლა შენობისათვის უნდა გვეზრუნა, მაგრამ საიდგან, რა ღონით, ფული სად იყო? გადავწყვიტეთ, ჩვენი საწყალი ჯიბეები გამოგვეტრუნებინა და რაც გვექონდა, ამოგვეტრეტყა. იყო შედგენილი სიები ქართველ მოხელეთა, მსახურთა და ასე გროშობით, სწორედ გროშობით შეკრებილი ფულით ჩავყარეთ საძირკველი. ამაზე ხომ ვერ შევდგებოდით? გართულდა საქმე. ფული ბევრი უნდოდა. ჩვენი გროშებით და თუნდ მანეთებითაც ვეღარას ვავსებდით. უნდა სხვა ღონე გვექონა. აი, სწორედ აქ იჩინა თავი ცხვედაძემ. ამოიღებდა ნიშანში ვისაც კი რაიმე ქონებას შეამჩნევდა, შეუჩნდებოდა და მიწამ ფულს არ გამოაღებინებდა, არ მოეშვებოდა. არც ერთი შეძლებული ქართველი არ გადაურჩებოდა ცხვედაძის ხარკს, ჩვენში იქნებოდა, რუსეთში, თუ უცხოეთში. ყველგან ხელს მიანწვდნდა, ყველას გამოამეტებინებდა რასმე. ხერხი იცოდა, ვისთან როგორ უნდა მისულიყო, ვისთვის საიდან მოეგო. რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო მეტი მადა ეშლებოდა ჩვენს ნიკოს. ჯერ განზრახული იყო მხოლოდ ორ-სართულიანი შენობა, მერე მადა ვაკეს-ნა და ორი სართული ოთხად გადააქცია. ახლა კი წვრილ-წვრილად მოგროვებული შემონირულობანი ხარჯებს ვეღარ ჰფარავდა, უნდა სხვა გზას დასდგომოდა და ამ გზამ ნიკო მიიყვანა **დავით სარაჯიშვილთან** და ჩვენ **ბანკთან**.

სარაჯიშვილის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ უხვად გაშალა ხელი და არას ზოგავდა ამ საქმისათვის. მის თამასუქებს ანაღვდებდნენ ხოლმე საკომერციო ბანკებში, ასი ათასი მანეთობით. სარაჯიშვილის მეუღლე, გულკეთილი ეკატერინე, მხოლოდ ერთს იხვეწებოდა: ნაიღეთ რამდენიც გნებავთ, რის ეშმაკისთვის გვირდა ფული, შვილი ჩვენ არ გვყავს, ძე ჩვენ არ გვაბადია. მთელი ჩვენი ქონება, ჩვენი სიკვდილის შემდეგ, მაინც ისევ ქართველ საზოგადოებას დარჩება, მხოლოდ ერთს კი გეხვეწებით: ბანკის თამასუქებს ფრთხილად მოექეცი, ვადაზე გადაუხდელი არ დაგრჩეთ, ჩემი ქმარი არ დალუპოთ და სიცოცხლეშივე ულუკმაპუროდ არ დაგეტოვოთ. სარაჯიშვილი მაინც იძლეოდა და იძლეოდა ფულს. ჩვენი ბანკი კი უფრო მაგარი გამოდგა. პირველად ესეც ადვილად იძლეოდა ფულს, მაგრამ როდესაც დაჰხედეს, რომ ხარჯი სულ მატულობს და მატულობს, ბანკის პატრონი, ე.ი. თავად-აზნაურობა, აჯანყდნენ. გაიძახოდნენ, სწორედ გიჟია ეგ ვილაც ცხვედაძეა, გადარეულა, ლამის მთელი ბანკის შემოსავალი სულ იმ შენობაში ჩავყარევისო. ილიას უსაყვედურებდნენ: შენ აქვთ იმ ვილაცა ცხვედაძეს და ისიც რასაც უნდა ჩადის. ჩვენ ათასი გაჭირვება გვაქვს, ყველაფერზე უარს გვეუბნები და იქ კი უანგარიშოდ აზნვეთ აუარებელ

ფულს. ილია, ცოტა არ იყოს, შეკრთებოდა ხოლმე და გასაგლეჯად გაბრაზებულ თავად-აზნაურობას ცხვედაძეს მიუგებდა:

– ნიკო! მოდი კრებაზე, შენ თითონ მიეცი პასუხი და ანგარიში, – ეტყოდა ხოლმე ილია ცხვედაძეს. ცხვედაძეც უარის უთქმელად გამოვიდოდა, თუმცა კარგად იცოდა, რამდენი უსიამოვნება მოელოდა გაბრაზებულ ყრილობისაგან. მაგრამ წარმოიდგინეთ, ეს ალელგებული ხალხი ერთბაშად მიჩუმდებოდა ხოლმე, როდესაც თვალწინ წამოუდგებოდა გულკეთილი, გულუბრყვილო, მუდამ მომღიმარი კაცი და დაიწყებდა ლაპარაკს ტკბილად, როგორც მოკეთე, თანაც გატაცებული იმ აღმაფრენი რწმენით, რომ ეს საქმე საშვილიშვილოა, საჭიროა მთელი ქართველობისათვის და ხარჯს არ უნდა შეუშინდეთ, საქმეს არ ეღალატებოთ.

– ეგ ყველა კარგი, – ეუბნებოდნენ აქეთ-იქიდან, მაგრამ მაგ უზარმაზარ შენობას რომ გამოუდევით და აუარებელ ფულსა ჰყრით შიგა, ნეტა რას აპირებთ, შიგ რა გინდათ მოათავსოდ?

– საჭიროა, მოვიხმართ, – ისევ მომღიმარი სახით უპასუხებდა ცხვედაძე. დაგვიჯერეთ, არ ინანებთ, მერე მადლობასაც გვეტყვი. აგერ ხმები ისმის და იქნებ კიდევ გამართლდეს, რომ ტფილისში უნივერსიტეტის გახსნის ნებას გვაძლევინო. დეე, შენობა მზად გექონდეს, იქნება როდისმე ქართულ უნივერსიტეტსაც ვეღირსოთ.

ამ სიტყვებით ბევრს მოინადირებდა ხოლმე და ფულსაც აძლევდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთი აყვიებიც, რომელნიც ღანძლავდნენ, ჭკუაზე შერყეულს ეძახდნენ, ბანკის დამღუპელად სთვლიდნენ. ნიკო ამათ ყურადღებას აღარ აქცევდა, ფული მიეღო და სხვა კი არაფერი უნდოდა ამთგან, მათი ქება-დიდება მისთვის საჭირო არ იყო. საწყალი ნიკო! ფანტაზიორს ეძახდნენ, გიჟს, ჭკუაზე შემოიღს. რად? რად და იმად, რომ ოცნებობდა ქართულ უნივერსიტეტზე. იქნება, ეს ოცნება იყო, ოცნება ფანტატიკოსისა, რომელსაც მტკიცედ სწამს, რომ ოდესმე ეს ოცნება ასრულდება. დღეს ხომ გხვდავთ, რომ ეს ოცნება სინამდვილედ გადაიქცა, ეგ არის, რომ საწყალ ნიკოს არ დასცალდა ამის ნახვა!

ნიკო, სულ იმავე საქმისთვის ფულის ძებნაში, ერთხელ დიდის ფეოდლის, გენერალ **ივანე მუხრანსკის** კარსაც მიადგა. გენერალმა ზრდილობიანად მიიღო. ყურადღებით მოუსმინა და მერე ასეთი პასუხი მისცა: კარგი საქმე დაგინწყიათ. მეც მუხრანში ამ ხანად დიდს სახლს ვაშენებ. კარგად მოგვივა საქმე: თუ მოვესწარი, მაგ თქვენ შენობაში პარლამენტი გავმართოთ, ტფილისი მაშინ პარიზი იქნება და მუხრანი – ვერსალი.

მელას რაც აგონდებოდა ის ესიზმრებოდაო. ამ მელია-მუხრანსკიმ, ამ ლათაიებით მოიშორა თავიდან ცხვედაძე და ფული კი გროშიც არ მისცა. მერე მისმა შვილმა და მეგვიდრემ, ცნობილმა **კონია მუხრანსკიმ**, როგორც იყო გაიმეტა და მგონი, ოთხასი თუმანი მისცა ცხვედაძეს, მაგრამ ყველას კი შესჩიოდა და წუნუნებდა, გამძარცვესო. ნუ დაივიწყებთ, რომ მუხრანსკი უშვილო იყო და ქონება და მამული კი ქალაქად თუ სოფლად თავზე საყრელი ჰქონდა.













პროექტი

# დედაინა

პროექტის ბაზა

პროექტის სახელწოდება	დედაინა
პროექტში მონაწილეები/ მიზნობრივი ჯგუფი	IV კლასი
დრო	3 კვირა
პრობლემის ანალიზი	პროექტის „დედაინა“ დაგეგმვა და წარმართვა განაპირობა თემის აქტიულობა – ვინაიდან მე-4 კლასში სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა, მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, თუ რამდენი ოკეანე და კონტინენტი, რომელი მათგანი სად მდებარეობს მსოფლიო რუკაზე, რომელი ცხოველი/ფრინველი ბინადრობს, როგორია კლიმატი, ფლორა, ფაუნა, რით გამოირჩევა კონტინენტები ერთმანეთისგან და ა.შ. მოცემული მიმართულებით, სასკოლო სახელმძღვანელოში, რომლის მიხედვითაც შევისწავლეთ დედაინა, მნიერი ინფორმაციაა, სწორედ ამ მიმართულების უკეთ გასაგებად დაგეგმეთ პროექტი, რომელიც ინფორმაციის მოძიება-განალიზებასთან ერთად, პრაქტიკულ სამუშაოს გულისხმობს, რომლის საშუალებითაც უნებურად გაააქტიურონ ყურადღება, დაეყრდნონ ვიზუალურ მესხიერებას და გამოიყენონ ცოდნა, ჰორიზონტის მხარეების შესახებ. ზემოაღნიშნულთან ერთად, აღსანიშნავია ბავშვების ინტერესი. მათ პროექტის თემატიკა მოინონეს, განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ის, რომ მათ მოუწოდებდათ პრაქტიკულად ემუშავათ და შექმნათ მსოფლიო რუკა.
პროექტის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეებმა აჯამებენ/ფლობენ ინფორმაციას ოკეანეების და კონტინენტების შესახებ.</li> <li>• გამოიყენონ ცოდნა ჰორიზონტის მხარეების შესახებ.</li> <li>• მოძიონ და დააამუშავონ ინფორმაცია, ცხოველების, ფრინველების და წყლის ბინადრების შესახებ, მოამზადონ თვალსაჩინოება.</li> <li>• შექმნან რესურსები ორ ენაზე.</li> <li>• შეძლონ სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის სინთეზი, პრეზენტაციის მომზადება და ჩატარება.</li> </ul>
პროექტის ამოცანები	<p><b>№1 აქტივობა</b> – ინფორმაციის გაცნობა</p> <p><b>№2 აქტივობა</b> – ინფორმაციის ორგანიზება/დამუშავება (ოკეანეების, კონტინენტების, ფლორა/ფაუნის და წყალქვეშა სამყაროს შესახებ ვიდეო/ფოტომასალის ნახვა)</p> <p><b>№3 აქტივობა</b> – რესურსების მომზადება</p> <p><b>№4 აქტივობა</b> – აბრების მომზადება ორ ენაზე</p> <p><b>№5 აქტივობა</b> – პრეზენტაცია/ კლიპის ჩვენება და მოსწავლეთა მონაწილეების გაფლერება</p>
მოსალოდნელი შედეგები	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ, შექმნან და აღწერონ გეოგრაფიული ობიექტები, იმსჯელონ დედაინის ფორმასა და გამორჩეულობაზე.</li> <li>• აჯამებენ ცოდნას დედაინის შესახებ და ახდენენ მის წარმოჩენა/პრეზენტაციას, დახვეწენ პრეზენტაციის უნარს.</li> <li>• აცნობიერებენ გარემოზე ზრუნვის აუცილებლობას.</li> <li>• მსჯელობენ და ხედავენ ჩვენი ქმედების ზეგავლენის შედეგს ფლორასა და ფაუნასთან მიმართებაში.</li> <li>• მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ წყვილებში, დაეხმარონ ერთმანეთს და შექმნან საერთო ნამუშევარი.</li> <li>• მოსწავლეები იყენებენ უკვე ნასწავლ ცოდნას და ხედავენ, თუ როგორ ხდება ცოდნის გამოყენება ახალი ნამუშევრის შექმნისას.</li> </ul> <p>ბუნ.IV.6. ბუნ.IV.7. ბუნ.IV.11. ს.გ.IV.1. ს.გ.IV.2. ს.გ.IV.3. ს.გ.IV.7.</p>
ამოცანების განსახორციელებლად საჭირო საქმიანობები	<p><b>№1 აქტივობა</b> – ინფორმაციის გაცნობა. მოსწავლეებს ვაცნობ, პროექტის მიზანს, განსახორციელებლად აქტივობებს და ვაძლევ, ვახდენთ საქმიანობის და შესაძლებლობათა შეფასებას.</p> <p><b>№2 აქტივობა</b> – ინფორმაციის ორგანიზება/დამუშავება. მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ, წერენ ნაცნობ და ახალ ინფორმაციას, ორგანიზებულად, კონტინენტების მიხედვით. იყენებენ ენციკლოპედიას, მსოფლიო ატლასს. კითხულობენ და განესაზღვრავთ, ამომწურავია ინფორმაცია თუ საჭიროებს ცნობების დამატებას. ვიყენებთ ინტერნეტს და ვათვალიერებთ თითოეულ კონტინენტს (ოკეანეების, კონტინენტების, ფლორა/ფაუნის და წყალქვეშა სამყაროს შესახებ ვიდეო/ ფოტომასალის ნახვა).</p> <p><b>№3 აქტივობა</b> – რესურსების მომზადება. ხელოვნების პედაგოგის დახმარებით, მოსწავლეები აკვირდებიან მსოფლიო რუკას და მსგავს ფორმებს ქმნიან. აწერენ სახელწოდებებს და ათავსებენ კონკრეტულ კონტინენტს საჭირო ადგილას, სხვა ობიექტებთან მიმართებაში (კედელზე ცისფერი ფონი, ზღვის იმიტაცია მზად გვაქვს, ამ აქტივობისთვის)</p> <p><b>№4 აქტივობა</b> – აბრების მომზადება ორ ენაზე. ინგლისურის პედაგოგის დახმარებით, მოსწავლეები კონკრეტულ ცხოველებს ინგლისურად აწერენ სახელებს და განათავსებენ იმ კონტინენტზე, სადაც არის გავრცელებული ეს სახეობა.</p> <p><b>№5 აქტივობა</b> – პრეზენტაცია/კლიპის ჩვენება და მოსწავლეთა მონაწილეების გაფლერება. მოსწავლეები მონაცვლეობით წარმოადგენდნენ ინფორმაციას, კონკრეტული გეგმის მიხედვით. მათზე თითო კონტინენტი გადაიხატეს. მანამდე კი, აკეთებენ ზოგად წარდგენას, თუ რისგან შედგება დედაინა, რომ წყლის წილი მეტია, ვიდრე ხმელეთის. ხსნიან, რომ დედაინა იყოფა კონტინენტებად, რომელიც სხვადასხვა დროს იქნა აღმოჩენილი. ბავშვები საკუთარ შექმნილ რუკაზე მარკირებდნენ იმ კონტინენტსა თუ ოკეანეზე, რომელზეც საუბრობდნენ. აღწერდნენ თითოეულ ობიექტს, საუბრობდნენ ჰავაზე, ფლორასა და ფაუნაზე. პრეზენტაციის ბოლოს, განმარტეს თუ რა ზეგავლენას ახდენს ადამიანი გარემოზე, აჩვენეს მაიკლ ჯექსონის კლიპი და მოუწოდეს მსმენელებს, როგორ უნდა ვიმოქმედოთ დედაინასთან მიმართებაში, რომ დავიცვათ ცხოველ-ფრინველები და მწვანე საფარი განადგურებისგან და შევინარჩუნოთ სუფთა ჰაერი.</p> <p><a href="https://www.youtube.com/watch?v=XAi3VTSdTxU">https://www.youtube.com/watch?v=XAi3VTSdTxU</a></p>
რესურსი	<a href="https://earth.google.com/web/">https://earth.google.com/web/</a> ენციკლოპედიები, ფერადი ფორმატები, ნებო, ფლომასტერები

დანართი №1

პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგის ცხრილი

კრიტერიუმი	დაახ	არა
მოსწავლეებმა მოიძიეს და დაამუშავეს ინფორმაცია		
შექმნეს კონტინენტთა პოსტერები		
ორ ენაზე შექმნეს ცხოველთა ფოტოები (სახელებითურთ)		
მომზადდა პრეზენტაცია		
ეფექტურად იმუშავეს წყვილებში		

დანართი №2

პროექტის შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	საუკეთესო	მეტ-ნაკლებად კარგი	გასაუმჯობესებელი
დავალების მიზნის შესაბამისი შესრულება	დავალება ზუსტად პასუხობს მიზანს.	დავალება პასუხობს მიზანს, მცირედ დახვეწას საჭიროებს.	დავალება მიზნობრივია, თუმცა სიზუსტე დარღვეულია.
პრეზენტაციისა და სწორი მეტყველება	გამართულად მეტყველებს; აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითად იყენებს ენობრივ გამოცდილებებს.	გამართულად მეტყველებს; აგებს წინადადების მართებულ კონსტრუქციებს.	იცავს მეტყველების ელემენტარულ ნებს; უჭირს გამართულად საუბარი.
წყვილში ეფექტური მუშაობა	ეფექტურად და ნაყოფიერად მუშაობს, ცდილობს და კარგად გამოხდის დაკისრებული სამუშაოს მეგობრულ გარემოში შესრულება.	მუშაობს წყვილში ნაყოფიერად, ცდილობს და მეტ-ნაკლებად გამოხდის დაკისრებული სამუშაოს შესრულება.	საჭიროებს წყვილში მუშაობის უნარების დახვეწას, ცდილობს მეტი პასუხისმგებლობა მეგობარზე გადაიტანოს.
დროის ლიმიტის დაცვა	ეფექტურად იყენებენ დროს.	დროის უკეთ გადანაწილება შეიძლება, რომ შედეგი უკეთესი იყოს.	ხარვეზებით ანაწილებენ დროს, რაც ჯგუფის სამუშაოს შედეგიანობას აფერხებს.
დაკისრებული რესურსის შექმნა	მოსწავლეებმა ზედმინევენით ზუსტად შეასრულეს დავალება, შექმნეს ეფექტური რესურსი.	მოსწავლეებმა კარგად შეასრულეს დავალება, შექმნეს დავალების მიხედვით საჭირო რესურსი.	მოსწავლეებმა შექმნეს რესურსი, რომელიც საჭიროებს შესწორებებს.

ენო ჭიჭინაძე

მესტიის რაიონის სოფელ იელის დაწყებითი კლასების მასწავლებელი, პროგრამა „ახალგაზრდა საქართველოსთვის“ კონსულტანტი მასწავლებელი

ახალი ახვაზი

## „შეისწავლე ისტორიას, გახდი მკვლევარს“ – პროექტის მეორე ეტაპი იწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, **ლია გიგაურმა**, შსს აკადემიის რექტორმა, **გივი მიქანაძემ** და შსს არქივის დირექტორმა, **ომარ თუშურაშვილმა** ერთობლივი შეხვედრით პროექტის „შეისწავლე ისტორიას, გახდი მკვლევარს“ პირველი ეტაპის გამარჯვებული გუნდი დააჯილდოეს და პროექტის მეორე ეტაპის მონაწილე გუნდებს შეხვდნენ.

პროექტის პირველ ეტაპზე მონაწილეობა თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა მიიღეს. გამარჯვებულები გახდნენ თბილისის 126-ე სკოლის გუნდის წევრები, თემის „ანტირელიგიური კამპანია, რეპრე-

სირებული სასულიერო პირები“ ავტორები. პროექტის მეორე ეტაპი საქართველოს ხუთ რეგიონში (ქუთაისი, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, გორი) განხორციელდება, რისთვისაც ხუთი საჯარო სკოლის გუნდი და ხუთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი შეირჩა. პროექტი რეგიონებში დისტანციურად განხორციელდება, რაც იმას გულისხმობს, რომ თემატური ბლოკიდან – „უახლესი ისტორია“ თემების გადანაწილების შემდეგ, ჯგუფებს საარქივო მასალა გასაცნობად და დასამუშავებლად ციფრულ ფორმატში გადაეცემა.

პროექტის მეორე ეტაპის დასკვნითი კონკურსი 2018 წლის ივნისში გაიმართება და გამოვლინდება საუკეთესო ნაშრომი.





გამოსდილა

# ლექსიკური ყულახის გასამდიდრებლად

ამას წინათ, მეექვსე კლასში გურამ დოჩანაშვილის „ყველაზე კარგი პაპა“ რომ ავსენი, ბავშვების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ეპიზოდმა, განრისხებულ ხელმწიფს ვეზირისთვის საყვედურის თქმა რომ უნდოდა და, რაკიდა სხვა სიტყვა არ იცოდა, მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა: „შე ცუდო, შენაო!“. ბავშვებთან ერთად ვიმსჯელოთ, როგორი ღარიბი ლექსიკა აქვს მეფეს, როგორ არ ახსენდება სხვა სალანდავი სიტყვა, როგორ ვერ ხვდება, აქებენ თუ აგინებენ, როცა „გერგილიანსა“ თუ „ქველმოქმედს“ ეძახიან, ან „თავში მტრედები უფრენენო“, – ამბობენ მასზე.

როგორც ამბობენ, მწირო და ღარიბი ლექსიკა ასეთივე მწირო და ღარიბი გონების ნიშანია, ჩვენი მოსწავლეების სამეტყველო ლექსიკა კი, სამწუხაროდ, სწორედ ასეთია. ბავშვები სულ თითებზე ჩამოსათვლელ ლექსიკურ ერთეულს სჯერდებიან წერისა თუ მეტყველებისას, ვერ ახერხებენ, შეარჩიონ ყველაზე შესაფერისი რამდენიმე ზედსართავი სახელი ერთი და იმავე საგნის დასახასიათებლად და ამით თავიანთი მეტყველება უფრო ხატოვანი და ემოციური გახადონ. სიტყვიერების ყველა მასწავლებელი ნასწედომია, ალბათ, შემთხვევას, როცა ამა თუ იმ გმირის, ამბის, მოვლენის დასახასიათებლად მოსწავლეები მხოლოდ შემდეგ ზედსართავებს იხსენებენ: კარგი, ცუდი, კეთილი, ბოროტი... თუ ამ პრობლემას დროზე არ მივხედვით, მერე გვიანდა აღმოჩნდება „თითზე კბენანი“ და ლეონიძისა არ იყოს, „მუხლადი, ბედაური“ ქართული სიტყვა უკვალოდ გაქრება ბავშვების მეტყველებიდან. ზედსართავი სახელის ახსნისას კი მასწავლებელს ბევრი საშუალება აქვს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად. ეს პროცესი შეიძლება ძალიან საინტერესოც აღმოჩნდეს მათთვის. შემოგთავაზებთ რამდენიმე აქტივობას, რომლებშიც ახალი და განსაკუთრებული, ალბათ, არაფერია, მაგრამ გამოცდილებიდან შემოძლია გითხრათ, რომ აპრობირებულია მეექვსე კლასში ზედსართავი სახელის ახსნისას და მოსწავლეებისაგან საინტერესოდაცაა მიჩნეული. მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ, წარმოიდგინონ სწორი მოსაფაღაბებელი გზა და გაზაფხულის ყვავილებით მოფენილი მინდორი. იმაშიც ადვილად შეთანხმდებიან, როგორი მომბეზრებელი და დამღვლია, დიდხანს უყურონ პირველი მათგანის უსახურ ერთფეროვნებას და როგორ ახარებს თავს მეორე – სხვადასხვა ფორმის, ზომისა და შეფერილობის ყვავილებით მოქარგული ველი. სწორედ ამ დროს მივაქცევინებ ყურადღებას, რომ ამ მრავალფეროვნებას ზედსართავი სახელის საშუალებით გამოვხატავთ, სწორედ იგი ანიჭებს ჩვენს მეტყველებას ხატოვანებასა და ფერადოვნებას (თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაც დასაცავია ოქროს შუაღედი, რათა ისე არ გაგვიტაცოს ზედსართავი სახელებით წინადადების „შემკობამ“, რომ უფრო დავამძიმოთ თხრობა და გადავტვირთოთ იგი გარეგნული „სამკაულებით“).

თავდაპირველად მოსწავლეებს ვთავაზობ რამდენიმე გამოცანას ზედსართავების გარეშე. ფრჩხილებში ჩასმული ზედსართავები არ წამოიკითხავს მათთვის: 1) დედა (ტურფა), მამა (ჯღანკი), შვილი (გადარული); 2) (ლურჯი) აბრეშუმი სარკმლისკენ მიიწევს; 3) მოვიდა (თეთრი) მოზერი, გაავდო (შავი) მოზერი; 4) ფრინველია (გრძელკუდა, ჭარტალა, ქურდბაცაცა); 5) (ნითელი) ხარის ნაძოვში ბალახს არ ამოდიანო.

რა თქმა უნდა, გაუჭირდათ ზედსართავების გარეშე, მწირო დასახასიათებელი ამოცნით ღვინო, ბოლი, დღე და ღამე, კაჭკაჭი, ცეცხლი. ამის შემდეგ, პირიქით, შევთავაზებ მხოლოდ

ზედსართავების მოშველებით დახასიათებულ საგანი, ამბავი თუ გმირი ამოცნით, ამისათვის მათივე შესწავლილი ნაწარმოებებიც გამოვიყენო: 1) ამ გმირის ამბავი ძალიან სევდიანია, ტკივილიანი, ცრემლისმომგვრელი, გულსაკლავი (შვლის ნუკრი); 2) იგი შეიძლება იყოს ჭრელიც, უსამართლოც, მშვენიერიც, საყვარელიც, დიდიც, პატარაც... (ქვეყანა – მისანიშნებლად კმაროდა სიტყვა „ჭრელი“, რომლითაც გ. დოჩანაშვილი ახასიათებს ქვეყანას თავის ზღაპარში); 3) იგი შეიძლება იყოს უტკბელიც და უმწარესიც, გრძელიც, ნაგდებულიც და ჩაგდებულიც (ენა); 4) იგი შეიძლება იყოს მანუგეშებელიც, გულისმომკვლეელიც, ამშენებელიც, დამანგრეველიც, გამაბედნიერებელიც და გამაუბედურებელიც (სიტყვა); 5) იგი შეიძლება იყოს ნორჩიც, ხასხასაც, დაკბილულიც, მწვანეც, აცხაცხებელიც და უკანასკნელიც (ფოთოლი); 6) იგი შეიძლება იყოს საინტერესოც, უინტერესოც, სურათებიანიც, სქელიც, თხელიც, ყდიანიც, უყდოც (წიგნი). ამ აქტივობის შესრულების შემდეგ მოსწავლეებმა დასკვნაც თავადვე გამოიტანეს, რომ ზედსართავი სახელის დახმარებით შეიძლება საგნის ამოცნობა მის დაუსახელებლადაც კი, მისი გამოტოვებით კი ლაზათი აკლდება ტექსტს და ჭირს იმის მიხედვრაც, რის შესახებაცაა საუბარი.

მეტყველების განვითარებისათვის შესანიშნავი საშუალებაა სურათის აღწერა ზედსართავი სახელების გამოყენებით, რაც, გარდა იმისა, რომ მოსწავლეებს აჩვენებს სურათზე ასახული კონკრეტული საგნებისათვის შესაფერისი ზედსართავი სახელების შერჩევას, მშვენიერების დანახვისა და მისით ტკობის უნარსაც გამოუმუშავებს მათ. სწორედ ამისთვის ვაჩვენებ ელენე ახვლედიანის ცნობილი ნახატის – „ზამთრის“ – რეპროდუქციას. მოსწავლეებს უნდა შეერჩიათ ზედსართავი სახელები სოფლის, ეზოების, სახლების, ღობეების, ხეებისათვის, უნდა აღენერათ უკანა პლანზე გამოსახული მთები, სურათზე ნანახი ბავშვები, მათი განწყობა, არ უნდა გამოჩინდეთ სურათის კუთხეში მდგომი მოხუცი ქალები, აივნებიდან მაცქერალი გოგონი, სადაც კუთხეში გამოსახული ხურჯინაჯიდებული მღვინი, არ უნდა გამოჰპაროდეთ სურათის მარცხენა მხარეს ჩამავალი მზის სხივებით აელვარებული თოვლის უფრო ნათელი ფერი... არაერთი სურათის გამოყენება შეიძლება ამ ფუნქციით, მაგრამ ვიყენებ არა მხოლოდ ისეთ სურათებს, რომელთა აღწერისას უამრავი ზედსართავი სახელის მოხმობა შეიძლება, არამედ ისეთსაც, სადაც ზედაპირზე როდი ჩანს დასახასიათებელი საგანი, სხვაგვარი ხედვა სჭირდება მათ დანახვასა და გრძნობას. ამიტომაც მივიტანე ერთხელ შავ-თეთრი სურათი ღარიბული ქოხისა. სურათის აღწერისას რამდენიმე მოსწავლემ შეძლო დაენახა გამოკვეთილი ქოხის სვედაც, გაუსაძლისი ერთფეროვნების მომბეზრებლობაც, ნაცრისფერი ყოფაც, უნუგეშო ცხოვრებაც, შემგლისფერებელი ცაც. საინტერესო აღმოჩნდა შემდეგი აქტივობაც-ბავშვები ირჩევდნენ თანაკლასელებს და თითოეული ახასიათებდა მას ერთი ზედსართავი სახელით, რომლითაც გამოხატავდა თანაკლასელის გარეგნულ მახასიათებლებსაც და მის ამა თუ იმ თვისებასაც. ასე დაიხატა რამდენიმე ბავშვის სიტყვიერი პორტრეტი-თმახუჭუჭა თუ გრძელთმიანი, ცისფერთვალა თუ შავთვალა, მაღალი თუ დაბალი, დიხვი თუ ონავარი, მშვიდი თუ დაუდგრომელი, ბეჯითი თუ ზარმაცო, გულისხმიერი თუ უდარდელი... – ათასგვარი ეპითეტით შეამკეს მოსწავლეებმა ერთმანეთი (რა თქმა უნდა, კორექტულობის ფარგლებში).

ვიყენებ კიდევ ერთ აქტივობას – შესწავლილი ნაწარმოების გმირთა დახასიათება ზედსართავ სახელთა მოშველებით. მუშაობენ წყვილები და ახასიათებენ ხელმწიფს (გ. დოჩანაშვილის „ყველაზე კარგი პაპა“), უცხო მოყმეს (შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“), წვიმის მოყვარულ კაცს (გ. პეტრიაშვილის „წვიმის მოყვარული კაცი“), სიტყვის პაპას (გ. დოჩანაშვილის დასახელებული ზღაპარი), ვარსკვლავიჭუნას (ოსკარ უაილდის „ვარსკვლავიჭუნა“), ეინარ მიხალაინენს (ს. კლდიაშვილის „შორეული“), იოსებას (რ. ინანიშვილის „უშიშარი ბიჭი იოსება“) და ა.შ. მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრებისათვის არაჩვეულებრივი საშუალებაა სინონიმურ და ანტონიმურ ზედსართავებზე მუშაობა, ამისათვის ვაძლევ მათ ამა თუ იმ ზედსართავს და ვავალებ, გაიხსენონ მისი სინონიმები და ანტონიმები, უნდა შეეცადონ, რომ თითოეულ ფორმას უპოვონ მაქსიმალური რაოდენობის სინონიმი და ანტონიმი (მაგალითად, შემდეგ ზედსართავებს: ენატკბილი, ხელგაშლილი, ძუნწი, ამაყი, ღარიბი, უშნო, ხარბი, გულკეთილი, ოტროველა, ორგული, ცრუ, მოხუცი, ჭკვიანი, ღონიერი, უმეცარი, ბეჯითი, მარდი, გერგილიანი, ფართო, ავსიტყვა...). ამ აქტივობაზე მუშაობისას, ვცდილობ, აუცილებლად დავუთმო გარკვეული დრო იმაზე საუბარსაც, რომ სინონიმები ყოველთვის თავისუფლად ვერ ჩაენაცვლებიან ერთმანეთს, მაგალითად, გამოთქმებში „ჭკუას ასწავლის“, „ჭკუა ვერ ისწავლა“, ჭკუას მისი სინონიმით – გონებით ვერ შევცვლით. ვერც წმინდასა და სუფთას შევუნაცვლებთ ერთმანეთს და მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ ამ ორი სინონიმის გამოყენების არეალი, თუ წმინდა შეიძლება ვთქვათ გრძობის, გულის, გონების, ტაძრის, ფიცის, სიყვარულის, სანთლის და ა.შ. დასახასიათებლად, სუფთა შეიძლება იყოს ზენარი, ფესხაცმელი, ქალადი, ჭურჭელი, ტანსაცმელი, სული, ქუდი, პირი, მკლავი, თავი, შუბლი. როცა სიტყვა „გულიდან“ ზედსართავ სახელებს აწარმოებენ, როგორც წესი, რამდენიმე ახსენდება ხოლმე, სწორედ ამ დროს ვუკითხავ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონიდან ასამდე ზედსართავს, ამ სიტყვიდან წარმოიბუღეს და თავადვე რწმუნდებიან, რა მდიდარი ენა გვაქვს.

კიდევ უამრავი აქტივობის ჩამოთვლა შეიძლება, ვამუშავებ ზედსართავი სახელების გამოყენებით წინადადებების შედგენაზე, საბოლოოდ კი კლასშივე ვაძლევ შემდეგ დამოუკიდებელი სამუშაოს – ძირეული და წარმოქმნილი ზედსართავი სახელების გამოყენებით აღწერა თავიანთი საკლასო ოთახი ან სკოლა... ამ დავალებასაც არანაკლები ხალისითა და ინტერესით ასრულებენ და სწორედ ამიტომ მიჩნდება იმედი, რომ თითოეული ეს აქტივობა საბოლოოდ მათი ლექსიკის გამდიდრება-დახვეწას შეუწყობს ხელს.

ლილია ხონელიძე

სისი ქალაქ ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-5 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

## კვლეოქმედა

# „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“

აფხაზეთის მთავრობის საქველმოქმედო ინიციატივების ფარგლებში, 27 იანვარს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განყოფილებამ და აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითა კავშირმა „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“, საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაცია „კათარზისში“ აფხაზეთიდან დევნილ, მზრუნველობამოკლებულ მარტოხელა ბენეფიციარებთან ერთად, ნინოზის ბრწყინვალე დღესასწაული აღნიშნა.

ერთი კვირის განმავლობაში, 27 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით, სპეციალური განრიგის მიხედვით, აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე ახალგაზრდობა საყოფაცხოვრებო მომსახურებას გაუწევს „კათარზისელ“ ხანდაზმულ ადამიანებს. 2 თებერვალს მოეწეობა აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა ხელოვანების ხელნაკეთი ნამუშევრებისა და ნახატების გამოფენა.


ნინოზის სადღესასწაულო შემოქმედებით საღამოში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“ წევრები: გიორგი სარჯველაძე, ვახტანგ ჯგერენია, მარიამ და ელენე დემურები, ნინო კოპალიანი, ელენე შელია და ნინო ჩანკვეტაძე.

აფხაზეთიდან დევნილმა კათარზისელმა ბენეფიციარებმა: თემურ კერესელიძემ, მარეზი მურღულიამ, ნინო ვახტანგიშვილმა, ნონა ცანავამ, აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის აღსაზრდელებთან ერთად, შეასრულეს ქართული, აფხაზური და ლაზური ხალხური სიმღერები და ცეკვები (მხატვრული ხელმძღვანელი – ილია ნიშნიანიძე).

ლონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ: აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თემურ მუაგია; აფხაზეთის ომის მონაწილე, პოლკოვნიკი ზაურ კვიციანი, მწერალი ტარიელ მუშლაძე, აფხაზი ქალბატონი ზაირა შამბა, სოხუმელი ზაურ კუპატაძე და სხვები.

ნონა ბერაძე

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განყოფილების უფროსი სპეციალისტი





სასკოლო აქტივობა

# ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე

2018 წლის 26 იანვარს სსიპ ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლის კლუბში – „მოზარდები საერთაშორისო საზოგადოება“, აღინიშნა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე. ღონისძიება გახსნა კურატორმა **საბინა ალიევა**, რომელმაც ისაუბრა ძალადობაზე და მის შედეგებზე, პარალელურად საქართველოში მომხდარ ტრაგიკულ ეპიზოდებზე: 9 აპრილზე, როდესაც იბადებოდა ქართველი ხალხის თავისუფლება; 8 აგვისტოს ომზე, როდესაც ქართველი ხალხი იბრძოდა ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად. ჩვენ უნდა გვახსოვდეს გმირები, რომლებმაც თავიანთი საკუთარი სიცოცხლის ფასად მოიპოვეს ჩვენი დღევანდელი მშვიდობიანი საქართველო.

კურატორმა **მაიკო ფარულავამ** ისაუბრა ჰოლოკოსტზე, როგორც გენოციდის ერთ-ერთ სახეობაზე და ისტორიულ რაკურსში მიმოიხილა. მოსწავლეებმა: **თინიკო დარბაიძემ**, **გიორგი მაისურაძემ**, **თეკლა ალაგიძემ**, **ლიზი გოგინავამ**, **ლანა არუთინოვამ** და **გაბრიელ ფირცხალავამ** გამართეს პრეზენტაციები. ებრაული თემის წარმომადგენელმა **ქეთი დედიაშვილმა** ებრაულ ენაზე წაიკითხა ლოცვა დაღუპულთა ხსოვნისადმი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნას. მშობელმა, **ლიანა ნასაჩევამ**, ეროვნებით ებრაელმა, მადლიერება გამოხატა ამ დღის აღნიშვნის გამო და წარმოადგინა „ხსოვნის წიგნი“.



რომელიც სამახსოვროდ გადასცა სკოლას. სიტყვით გამოვიდა სსიპ ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლის დირექტორი **მანანა კიკაჩიანი**. მან აღნიშნა, რომ ნებისმიერი ძალადობა დაუშვებელია, მით უმეტეს, რომ ჩვენ 21-ე საუკუნის ცივილიზებულ სამყაროში ვცხოვრობთ და შესაძლებელია მშვიდობიანი გზით ყველაფრის მოგვარება. ებრაელები, 26 საუკუნეზე მეტია, ცხოვრობენ საქართველოში და არასოდეს განუცდიდიათ შევიწროება და გენოციდი.



ეს არის ერი, რომელმაც თავისი სისხლით და სიმამაცით მოიპოვა და დაიბრუნა სახელმწიფოებრიობა, რაც სამაგალითოა და პატივისცემას იმსახურებს. ხსოვნის დღე დოკუმენტური ფილმის – „ჰოლოკოსტის ისტორია“ ჩვენებით დასრულდა.

**ნანა აბრამიშვილი**  
დირექტორის მოადგილე

## ემოციონალური კრება

# მეტყველების განვითარების ხელშეწყობა ენაბორძიკობის დროს

### მანანა ქარაშვილი

ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი, ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვები“, აუტიზმის კლინიკა

– მეტყველების საშუალებით კომუნიკაციის დამყარების უნარი ადამიანს გამოარჩევს სხვა ცოცხალი ორგანიზმებისაგან. მაგრამ არის შემთხვევები როდესაც ენისა და მეტყველების განვითარებაში სირთულეები იჩენს თავს. ესა თუ ის ფსიქიკური პროცესი თავისი განვითარების დროს გარკვეულ ეტაპებს გაივლის, ასევე ენისა და მეტყველების განვითარების შემთხვევაშიც. ბავშვი დაბადების მომენტიდან გარე სამყაროსთან კომუნიკაციას ყვირილის, ტირილის საშუალებით ამყარებს. ენისა და მეტყველების განვითარების სენსიტიურ პერიოდს მიიჩნევა დაბადებიდან 6 წლამდე ასაკი. ლ. ვიგოტსკი, რომელმაც ამ გარემოების ხაზი პირველმა გაუსვა, აღნიშნავს: „ამ პერიოდში გარკვეული ზემოქმედება საგრძნობ ზეგავლენას ახდენს განვითარების მიერ მსვლელობაზე“. დაახლოებით 2-4 წლამდე პერიოდი კი ის მონაკვეთია, როდესაც ბავშვს აქტიური მეტყველება უვითარდება. სწორედ ამ ასაკის ბავშვებში გვხვდება ენაბორძიკობის დასაწყისი. ენაბორძიკობა არის მეტყველების ტემპისა და რიტმული ორგანიზაციის დარღვევა. მას აგრეთვე უწოდებენ მეტყველების ნეკროზს (ლოკონეკროზს). აღნიშნული სიმპტომის შემთხვევაში ხდება წარმოთქმის უნებლიე შეფერხება, მეტყველების გაძნელების მიზეზი არის სამეტყველო აპარატში წარმოქმნილი კრუნჩხვები. იგი ორი სახისაა: კლონური და ტონური.

კლონური ფორმის ენაბორძიკობა გულისხმობს სამეტყველო აპარატის ხანმოკლე შეკუმშვას. მისთვის დამახასიათებელია წარმოთქმის დროს სიტყვებში ბგერების, ან მარცვლების რამდენიმე გამეორება. მაგ: „მამამა“, „პე-პე-პეპელა“.

ტონური ფორმის კრუნჩხვების დროს ხდება სამეტყველო აპარატის კუნთების უფრო ხანგრძლივი შეკუმშვა, რაც მეტყველების უნებლიე შეწყვეტას იწვევს. გამომდინარე იქიდან, რომ ამ სირთულის მქონე ადამიანს ხანგრძლივად უხდება შეჩერება სიტყვის დასაწყის მარცვალზე, რის გამოც გაძნელებულია სიტყვების რითმულად წარმოთქმა. თუ კლონური კრუნჩხვები შეიძლება გაგრძელდეს ერთ წამს, ტონური გრძელდება რამდენიმე წამს და რთულ შემთხვევაში ერთ წუთამდეც აღწევს. მაგ. „დედა“, „რატიმ“. კლონური ან ტონური ხასიათის კრუნჩხვები იშვიათად გვხვდება წმინდა სახით. ჩვეულებრივ, ორივე ეს ფორმა შერეულია და ჭარბობს ხან ერთი, ხან მეორე.

### რაში მდგომარეობს მეტყველების თერაპევტის ჩართულობის არსი ენაბორძიკობის რეაბილიტაციის დროს?

– ემოციური დაძაბულობა ენაბორძიკობის წყაროა და წარმოთქმის სირთულეები ასეთ ფონზე უფრო ძლიერდება. ხშირ შემთხვევაში, რაც უფრო მეტად აღიქვამს ბავშვი საკუთარ მეტყველებასთან დაკავშირებულ სირთულეს, მით უფრო ემოციურად განიცდის მას. ბავშვის მიერ განცდილი სიმორცხვე, გაუბედაობა და სიფიცხე შეიძლება მისი სოციალური იზოლაციის მიზეზი გახდეს.

მეტყველების თერაპევტის ძირითადი მიზანია ბავშვს განუვითაროს მკაფიო მეტყველება ნორმალური რიტმითა და ტემპით. ბავშვს დაეხმაროს სწორად მეტყველების აუცილებლობის გაცნობიერებაში. დაარწმუნოს, რომ მისი აქტიური და შეგნებული მუშაობის გარეშე ამ სირთულისგან გათავისუფლება შეუძლებელია.

თერაპევტი მეტყველების საკორექციო საშუაოსთან ერთად ბავშვს ეხმარება იმის გაცნობიერებაში რომ, ალღელების დროსაც სავსებით შესაძლებელია მეტყველების დამორჩილება და მშვიდად საუბარი (ამ სირთულის მქონე ბავშვები აღნიშნავენ, რომ ალღელების დროს უფრო თვალსაჩინოა მათი ენაბორძიკობა). ამრიგად, სწორად დაგეგმილი თერაპია სპეციალისტის მხრიდან მოიცავს არა მხოლოდ მეტყველების განვითარებაზე მუშაობას, არამედ გულისხმობს ბავშვის ხასიათის სიმტკიცის და სითამამის გამომუშავებასაც.

– რა თავისებურებებით გამოირჩევა მეტყველების თერაპიის პროცესი, ენაბორძიკობის მქონე ბავშვების შემთხვევაში, სხვა ტიპის ენისა და მეტყველების დარღვევის რეაბილიტაციის პროცესისაგან?

– ენაბორძიკობის მქონე ბავშვთან მეტყველების თერაპიის პროცესი გამოირჩევა კომპლექსური თერაპიული ხასიათით. ასეთ შემთხვევაში თერაპიის პროცესი ატარებს სამკურნალო გამაჯანსაღებელ და საკორექციო აღმზრდელ ხასიათს.

1. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი გულისხმობს: კეთილგანწყობილ გარემოს, დღის რეჟიმს, რაციონალურ კვებას, მედიკამენტოზურ მკურნალობას, ფიზიოლოგიურ და ფსიქოთერაპიას;

2. საკორექციო-აღმზრდელი გულისხმობს: ფიზიკურ ვარჯიშს, აღმზრდელი ღონისძიებასა და მეტყველების თერაპიას.

ნევროლოგის, ფსიქოთერაპევტის, მეტყველების თერაპევტის ერთობლივი ძალისხმევით ხდება ბავშვის განწყობის მართებულად წარმართვა საკუთარი სირთულის მიმართ. აღსანიშნავია კუნთების რელაქსაციის მეთოდი, რომელიც რეკომენდებულია სწორედ აღნიშნულ მეტყველების განვითარების სირთულესთან მიმართებაში. იგი სამი ეტაპისაგან შედგება:

1. კუნთების რელაქსაცია;
2. სამეტყველო აპარატის კუნთების რელაქსაცია;
3. სუნთქვითი ვარჯიში.

სუნთქვაზე ვარჯიშის მიზანია მიაჩვიოს ბავშვი წარმოთქმის წინ მშვიდ შესუნთქვას, შესუნთქვიდან ამოსუნთქვამდე შეუფერხებლად გადასვლას. წარმოთქმისას ამონახუნთქვი ჰაერნაკადის ეკონომიურ და თანაბარ ხარჯვას და პაუზების გამოყენებას. სუნთქვის განვითარებისათვის გამოიყენება შემდეგი სახის ვარჯიშები:

1. ნელი შესუნთქვა-ნელი ამოსუნთქვა, პაუზა.
2. შესუნთქვა-გახანგრძლივებული ამოსუნთქვა, პაუზა.
3. სწრაფი შესუნთქვა-ნელი ამოსუნთქვა, პაუზა.
4. სწრაფი შესუნთქვა-სწრაფი ამოსუნთქვა, პაუზა.
5. ნელი შესუნთქვა-წყვეტილი ამოსუნთქვა, პაუზა.

აღნიშნულ სუნთქვით ვარჯიშს ამოსუნთქვისას ემატება ხმა, ხდება ხმოვნის გაბმით წარმოთქმა. ამოსუნთქვისას ნელა და უწყვეტად წარმოთქმება ხმოვანი ა, შემდეგ პაუზა, კვლავ შესუნთქვა და ხმით ამოსუნთქვა ო-სი და სხვა ხმოვნების (უ, ე, ი). შემდეგ უკვე ერთ ამოსუნთქვაზე თანმიმდევრულად და უწყვეტად წარმოთქმის ორი, სამი და მეტი ხმოვანი; აო, აუ, აე, აი, აოუ, აეი, აოუე, და სხვ.

სუნთქვისა და ხმის ვარჯიშთან ერთად ნელ მეტყველებაზე გადასასვლელად მოსაზრადებელი საფეხურია თვლა. ერთი, ორი, სამი, ოთხი და ა.შ. ოცამდე. პირდაპირ და უკუთვლით. შემდეგ ვარჯიში რთულდება და დასათვლელი რიცხვები იზრდება. სუნთქვისა და ხმის განვითარებაზე ვარჯიშის შემდეგ მუშაობა შემდეგნაირად ხორციელდება; ვარჯიში იწყება მეტყველების ადვილი ფორმიდან, რომელიც თანდათან რთულდება.

- ა) ერთად წარმოთქმაზე ვარჯიში (მეტყველების თერაპევტის და ენაბორძიკობის მქონე ბავშვის);
- ბ) მიბაძვით მეტყველება;
- გ) კითხვა;
- დ) დასწავლილი ტექსტის ზეპირად წარმოთქმა;
- ე) დამოუკიდებელ მეტყველებაზე მუშაობა.

„რიტმიკაში“ მეცადინეობას ენაბორძიკობის დაძვლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ დროს გამოიყენება მოტორიკის, მოძრაობის კოორდინაციისა და მუსიკალური რიტმის განმავითარებელი ვარჯიშები, ასევე თითების ვარჯიში (მ. ფუტკარაძე; ნ. გაბაშვილი) ენაბორძიკობის დაძვლის სრული ეფექტურობისათვის აუცილებელია მშობელთან და ბავშვთან ერთობლივი მუშაობა. განსაკუთრებულად ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვს ენისა და მეტყველების აღნიშნულ სირ-

თულესთან მუშაობა.

– რამდენად ეფექტურია ენაბორძიკობის დროს ბავშვების მეტყველების რეაბილიტაციის პერსპექტივა სპეციალისტის ჩარევის შემთხვევაში?

– მხოლოდ მეტყველების თერაპევტის მუშაობა არ იქნება ნაყოფიერი, თუ ბავშვს არ ექნება ხელსაყრელი პირობები იმ გარემოში, სადაც მას უხდება ყოფნა. ვგულისხმობ სასწავლო დაწესებულებებს: საბავშვო ბაღი, სკოლა და ოჯახი. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტი ვერ მოახერხებს მათთან საჭირო კომუნიკაციის დამყარებას, სირთულის დაძვლისაკენ მიმართული შრომა ცალმხრივი იქნება. ძნელია იმის თქმა, რამდენი დროა საჭირო ენაბორძიკობის რეაბილიტაციისათვის. ამ შემთხვევაში, სწრაფად და მარტივად არ ხდება სასურველი შედეგის მიღწევა. ენაბორძიკობის მქონე ყველა პირობებში რეაბილიტაციის ინდივიდუალურ დროს საჭიროებს ისევე, როგორც ყველა სხვა ტიპის მეტყველების დარღვევის შემთხვევაში. ზოგიერთი ბავშვი ადვილად ახერხებს რიტმული მეტყველების ათვისებას და მის გამოყენებას, სხვას კი უფრო დიდი დრო ესაჭიროება ამისათვის.

ენაბორძიკობას ისევე, როგორც ზოგადად მეტყველებას, მნიშვნელოვნად განასაზღვრავს გარემო პირობები. სწორედ ამიტომ უნდა ხდებოდეს ამ უკანასკნელის გათვალისწინება მეტყველების რეაბილიტაციის პროცესში. მეტყველების განვითარების ამ სირთულის რეაბილიტაციის უზრუნველყოფის მრავალფეროვანი შემოქმედებითი ხასიათის მქონე საშუალო პროცესი.

– რა რჩევებს მისცემდით მშობლებს, რომლებიც მსგავსი სირთულის წინაშე დგანან?

– აღსანიშნავია, რომ დროული რეაგირების შემთხვევაში რეაბილიტაციის პროცესი ეფექტურია და ბავშვის ფსიქიკისათვის მეტად უმტკივნეულო. სულ მცირე ასაკის ბავშვიც გრძნობს სირთულეს მეტყველების პროცესში და ის ყოველთვის „ენაბორძიკების“ მოლოდინშია. ეს კიდევ უფრო ძაბავს სამეტყველო აპარატის კუნთებს და იწვევს მეტყველების გაძნელებას. მსგავს მდგომარეობაში მყოფ ბავშვს ნუ გაეუმახვილებთ ყურადღებას, რომ მისი მეტყველების გაძნელება ჩვენთვისაც შესაძრწევია. არ დავასრულოთ ბავშვის ნაცვლად აზრი, მივცეთ საშუალება თავად თქვას სათქმელი. ნუ მოეუწოდებთ – „ახლა დაწყნარდი, დაფიქრდი და მითხარი რის თქმა გინდა“. ხშირად მშობელი თვითონ ხდება ენაბორძიკობის გამომწვევი მიზეზი, როდესაც საკუთარი თავის დემონსტრირებას და „სამაგალითო ბავშვის აღზრდას“ ცდილობს. როდესაც ბავშვისაგან მოითხოვს მისი ასაკის და პასუხისმგებლობისათვის შეუფერხებელ ქცევას. ასევე უარყოფითად მოქმედებს სიმკაცრე და ძალდატანება (იმპერატიული აღზრდის სტილი), რაც ბავშვის ემოციურ სფეროზე აისახება.

მშობელმა თავი უნდა შეიკავოს მეტყველების განვითარების სირთულეზე ბავშვის თანდასწრებით საუბრისაგან, მით უფრო ისეთი მონოდებებისაგან, როგორიცაა: „წარმალურად ილაპარაკე“. აქცენტი უნდა გაკეთდეს ბავშვის ძლიერ მხარეებზე. მოტივაციის განსამტკიცებლად უნდა იქნეს გამოყენებული ბავშვის პერიოდულად გამართული საუბარი. აუცილებელია მშობლებმა ბავშვს დაანახონ ოპტიმისტური განწყობა მისი სირთულის მიმართ. ბავშვმა არ უნდა იგრძნოს, რომ უფროსები მის მეტყველებას აკვირდებიან, უსმენენ იმიტომ, რომ აინტერესებთ მისი მეტყველების არა შინაარსი, არამედ გარეგანი ფორმა.

რასაკვირველია მშობლებმა უნდა იზრუნონ ბავშვის შექცენებითი სფეროს მრავალმხრივ განვითარებაზე, მაგრამ არასასურველია მათი ასაკისათვის, ლექსიკისათვის, შეუფერხებელი ლექსების, მოთხრობების სწავლება და სხვადასხვა სახის მასალით მათი გონების გადატვირთვა, რადგან ბავშვის საარტიკულაციო აპარატს, ოთხ წლამდე, არ გააჩნია იმის მზაობა, რომ რთული სიტყვები და ფრაზები მარტივად წარმოთქვას.



სპორტი

# სასკოლო პროექტის ახალი ასპარეზი

ირაკლი თაყაიძე

წინა კვირაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა სპორტის გაკვეთილების ახალი პროექტის საპილოტე პროე-

რამაში ჩართული სკოლების წარმომადგენლებთან. მოგესხენებათ, ამ პროგრამაში ჯერჯერობით ჩართულია დედაქალაქის 18 სკოლა, რომლებიც სპორტის გაკვეთილებს ახალი სისტემით ატარებენ. შეხვედრაზე სწორედ ამ მოდელის ავტორზე გაიმართა მსჯელობა, მონაწილეებმა კი, ძირითადად, მონაწილეს დასახული ამოცანები.

შეხვედრაზე სამომავლო გეგმებზეც ბლომად ისაუბრეს და აქ უკვე ბევრი საინტერესო ასპექტი გამოიკვეთა. ეს პროექტი ჯერჯერობით მხოლოდ თბილისში ვრცელდება, თუმცა განზრახულია მისი მასშტაბების გაზრდა როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. თბილისში, უკვე თებერვალში, იგეგმება საპილოტე სკოლების 40-მდე გაზრდა. განზრახულია სკოლებში უფასო სპორტული წრეების გახსნა და პროექტში სპორტის ეროვნული ფედერაციების ჩართვა. რომლებიც დაეხმარებიან ამ წრეებს სპორტის კონკრეტულ სახეობაში შეჯიბრებების ორგანიზებაში – გაუნევენ თეორიულ-პრაქტიკულ კონსულტაციებს, საჭიროებისას დაეხმარებიან ინვენტარით და სხვ.

თბილისში დაგეგმილ ამ ღონისძიებებს მოჰყვება რეგიონებში გასვლა, თუმცა ეს დროში ცოტა გადაინეგს, როგორც შედარებით უფრო რთული საკითხი, რადგან მოსაგვარებელია ურთიერთობები ადგილობრივ მმართველ სტრუქტურებთან (ადმინისტრაციულთანაც და სასწავლოსთანაც). თუმცა, დაგეგვითანხმებით, ეს არაა გადაუჭრელი პრობლემა. მთავარია, ამის ნება სახელმწიფო დონეზეც არის და ადგილებზეც ყველა რეგიონში იგეგმება რამდენიმე სკოლის შერჩევა, სადაც გადაამზადებენ სპორტის პედაგოგებს, მერე კი, თავის მხრივ, ისინი გაუნევენ სხვებს კონსულტაციებს. ცხადია, სამინისტროსა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად, რომლებიც ამ პროექტის ინიციატორებად გამოდიან.

ამ პროექტით და, ზოგადად, სკოლებში სპორტის ბედით ოლიმპიური ჩემპიონი, პარლამენტარი შოთა ხაბარელიც დაინტერესდა. სამინისტროში ზემოაღნიშნულ შეხვედრას ის პირადად ვერ დაესწრო, მაგრამ მისი წარმომადგენელი კი იყო მისული. პარლამენტარმა გამოთქვა სურვილი, რომ მის საარჩევნო რაიონში – სამგორში მასობრივად განხორციელდეს ეს პროექტი და რაც შეიძლება, ბევრი სკოლა ჩაერთოს მასში, თვითონ კი ყოველმხრივი დახმარების სურვილი გამოთქვა.

პროექტის ავტორებმა სკოლებში სპორტის პოპულარიზაციისთვის კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს: ტელეკომპანია „ქართულ არხთან“ მიღწეულია შეთანხმება, რომ გაშუქდეს სკოლებში ჩატარებული სპორტული შეჯიბრებები, სადაც გაკვეთდება რეალობის ანალიზი სპეციალისტების ჩართულობით.

დასასრულს, კიდევ ერთი სიახლე ამ პროექტთან დაკავშირებით: 30 იანვარს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესაბამისი სერტიფიკატები გადასცეს სპორტის იმ პედაგოგებს, რომლებმაც გადაამზადების თეორიულ-პრაქტიკული კურსი გაიარეს. სამინისტრომ და სასკოლო სპორტის ფედერაციამ პროექტის დაწყებამდე დაიწყეს პედაგოგთა გადაამზადება, რომელიც პირველ ეტაპზე, მხოლოდ სამ რეგიონს – თბილისს, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთს მოიცავს, თუმცა წლეულსვე განზრახულია მთელი საქართველოს დაფარვა. სემინარებში 700-ზე მეტი პე-



დაგოგი ჩაერთო, სასერტიფიკატო გამოცდები 550-ზე მეტმა ჩააბარა. სამინისტროში სწორედ მათ გადასცეს სერტიფიკატები, თუმცა – მხოლოდ თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის წარმომადგენლებს, შიდა ქართლს კი, მოგვიანებით გადასცემენ.



## ბითაქე ადრიატიკის მარბალიტია



18 წლის გოგა ბითაძის ტრიუმფით დასრულდა ადრიატიკის ახალგაზრდული ლიგის (19-წლამდელთა) გათამაშება კალათბურთში: ჩვენებურის კლუბი, სერბული „მეგა ბემაქსი“ ჩემპიონი გახდა, ქართველი ცენტრი კი „ოთხთა ფინალის“ MVP-დ, ანუ საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

ნახევარფინალში სერბულმა კლუბმა, სხვებთან ერთად, ქართველი კალათბურთელის კარგი თამაშის დამსახურებით 73:70 სძლია ბოსნია-ჰერცეგოვინას „იგოკას“. ჩვენებურმა მატჩი მშვენიერი სტატისტიკით და ორმაგი დუბლით დაამთავრა. მან პარკეტზე 33.45 წუთი დაჰყო, ამ პერიოდში კი 17 ქულა, 14 მოხსნა (აქედან 7 – შეტევით), თითო პასიჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. ბითაქემ ფინალშიც კარ-

გად ითამაშა და იმის მიუხედავად, რომ უფრო ძლიერ მეტოქესთან შედარებით ცოტა დრო ჰქონდა სათამაშოდ, მაინც ლამის იგივე ტექნიკური მაჩვენებლები დააგროვა.

ფინალში სერბთა მეტოქე ფავორიტად მიჩნეული თანამემამულე „ცრვენა ზეზდა“ იყო, თუმცა „ბემაქსმა“, ყველასთვის მოულოდნელად, საკმაოდ იოლად მოუგო ევროკალათბურთის გრანდს: 82:60. პირველი ტაიმი თითქოს სენსაციურს არაფერს მოასწავებდა: „წითელი ვარსკვლავი“ შესვენებაზე 2-ქულიანი უპირატესობით გავიდა, 37:35. ეს არ იყო დიდი და მყარი ფორა, მაგრამ ფავორიტი მაინც იგებდა, მაგრამ მეორე ტაიმში ბითაქემ და მისმა თანაგუნდელებმა ტემპს უმატეს და მრისხანე მეტოქე 47:23 გაანადგურეს.

სასტარტო ხუთწუთში გამწვანებულმა ბითაქემ ამჯერად 24.31 წუთი ითამაშა და 17 ქულა, 8 მოხსნა, ისევე თითო პასიჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. მან 9-ჯერ ესროლა ორქულიანი, საიდანაც 7 კალათში მოათავსა, 4 საჯარიმოც ესროლა და მხოლოდ ერთი ააცილა, ბურთი არ დაუკარგავს და მხოლოდ ერთხელ დაუფარეს, მიიღო სამი პერსონალური ჯარიმა, თუმცა მის წინააღმდეგ 6-ჯერ დაჯარიმდნენ. ახლა ბითაქეს ახალი ასპარეზი ელის: ახალგაზრდებში ასეთი მშვენიერი თამაშის შემდეგ მას კიდევ უფრო მეტად ენდობა „ბემაქსის“ ხელმძღვანელობა და უფროსებში მასქიმალურად დაიტვირთება.

ალსანიშნავია, რომ ის დუბლებიდან წლეულს გადაიყვანეს პროფესიონალებში, ხოლო პოპულარული ვებსაიტი – Gigantes.com – მას უკვე NBA-ს დრაფტზე მოიაზრებს და საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს: „მისი გვარ-სახელი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ 2018 წლის დრაფტისათვის. მეტიც – მას პირველ წრეში აიყვანენ. 210-სანტიმეტრიანი სიმაღლის ცენტრი ფარქვეშ დომინირებს. მას შეუძლია სროლა ნებისმიერი პოზიციიდან, მათ შორის – სამქულიანებისაც“.

## იბერეთმა საქართველოს მონაწილეები მისცა

ამ დღეებში ქუთაისში ჩატარდა იმერეთის ასაკობრივი პირველობა 7, 10 და 14-წლამდე მოჭადრაკე გოგონებსა და ბიჭებს შორის. გამოვლინდნენ მედალოსნები სამივე ასაკში და გაირკვენ საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე იმერეთიდან: 7-წლიანებში ჩემპიონები სამტრედიელი ლუკა რუსაძე და ქუთაისელი ბარბარე ამოთია გახდნენ; 10-წლიანებში ქუთაისელებმა იყონაღეს – დავით ნემსაძემ და ვერონიკა ტყეშელაშვილმა; უფროსებში, 14-წლანებში ჩემპიონობა გოგონებშიც ქუთაისის დარჩა, რაც ნია დონღანის დამსახურებაა, ბიჭებში კი ბაღდათელმა ჯაბა ადამიამ გაიმარჯვა.





მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სასწავლო პროექტები ნიგონი მომხმარებელი ნიგონი დახმარება... 11 ლარი

ქართული I-VI კლასები ნიგონი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად... 11 ლარი

პროფესიული უნარები დახმარება სასწავლო პროგრამის განხორციელებისთვის... 15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რეპერტუარი 4 ლარი

ნიგონი პროფესიული უნარები 6 ლარი

ქართული ენის გავრცელების კორექტივი 6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი 5.50 ლარი

სწრაფი დაწყებითი კლასებისთვის 14 ლარი

ნიგონი პროფესიული უნარები 6.50 ლარი

მოქალაქეთა საბაზისური გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხევი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი...



თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ

ნაფიცი და მომონი ანბანი

სერიის შემადგენელი I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გამოცდებისთვის.



სერიის ფასი - 32.40 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გზამკვლეოთი გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.



სერიის ფასი 17.70 ლ

„ნიგონი“ და „არტანუჯი“ ბიბლიოთეკა

გავიგონო მათემატიკა ბავშვობისათვის მათემატიკის საფუძვლები... 19 ლარი (ერთი ცალი)

არტანუჯი ბავშვობისათვის ისტორიის საფუძვლები... 15 ლარი

თამაზ ვასაძე კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი 12 ლარი

თამაზ ვასაძე ქართული აბრევიატურული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის 4 ლარი

თამარ გეროზავილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული) 10 ლარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში საბაზისური და პროფესიული გამოცდებისთვის... 13 ლარი

ფიზიკა საბაზისური გამოცდებისთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ბარაძე 10 ლარი

ბიოლოგია ეროვნული გამოცდებისთვის ლ. ბურღლიანი, ნ. სინარულიანი, ქ. მალბაძე, დ. ნაირიშვილი 6 ლარი

ისტორია ეროვნული გამოცდებისთვის ნ. ანგვალი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულიანი 9 ლარი